დასკვნა:**დ12.37213611**

თარიღი:**27/12/2021**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია, მიმდინარე წლის 23 დეკემბერს გაეცნო და განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ 2022 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს.

კომისიამ იმსჯელა 2022 წლია ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე და ვრცლად შეეხო და განიხილა კომისიის ფუნქციის შესაბამის დასაფინანსებელ პროგრამებსა და დარგებს. კონკრეტულად განიხილა ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეხებოდა სოციალურ და ჯანმრთელობის დაცვას, სპორტსა და კულტურას, განათლების ხელშეწყობას. ისაუბრა პროგრამულ დაფინანსებაზე.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროექტი აკმაყოფილებს პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნებს და მხარი უნდა დაეჭიროს მას. აქედან გამომდინარე კომისიამ მიიღო

გ ა დ წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:

სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს დადგენილების კორექტირებული პროექტი ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წარდგენილ იქნას, მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ქეთევან ხომერიკი

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი